კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უნარების განვითარება ბავშვებისათვის

მშობლებს

EDUCATION FOR DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ჩართულობა ონლაინსივრცეში

წვდომა და ინკლუზია

ბავშვები სარგებლობენ ონლაინსამყაროში უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უფლებით.

- დაეხმარეთ თქვენს მცირეწლოვან შვილებს, შეადგინონ მათთვის საყვარელი, ასაკობრივად შესაბამისი ვებგვერდების სია ბრაუზერის ბუქმარკების მენიუში. ამგვარად, მათ ადვილად მიუწვდებათ ხელი თქვენთან ერთად შერჩეულ ვებგვერდებზე და ნაკლები შანსი აქვთ, შემთხვევით აღმოჩნდნენ შეუსაბამო საიტებზე.

სწავლა და შემოქმედებითობა

ბავშვებს უნდა ესმოდეთ, როგორგ გამოიყენონ ინტერნეტი კრეატიულად, საკუთარი კონფიდენციალურობის ხელყოფის და ზედმეტი პერსონალური მონაცემის გამჟღავნების გარეშე.

- დაანახეთ მოსწავლეებს, როგორ შეინარჩუნონ კრეატიულობა ონლაინსამყაროში ზედმეტი პერსონალური მონაცემის გამჟღავნებისა და კონფიდენციალურობის ხელყოფის გარეშე.[1]

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება გულისხმობს იმის ცოდნასაც, თუ რას ნიშნავს პერსონალური მონაცემები და როგორ გამოვიყენოთ ტექნოლოგიები კონფიდენციალურობის ხელყოფის გარეშე.

- ასწავლეთ შვილებს ტექნოლოგიების პასუხიმგებლიანი გამოყენება.[1]
- ფოტოების ან ვიდეოების გამოქვეყნებამდე დააფიქრეთ გაზიარებულის გავლენაზე კონფიდენციალურობის თვალსაზრისით.

---

1. https://rm.coe.int/easy-steps-to-help-your-child-become-a-digital-citizen/16809e2d1d

კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

ეთიკა და ემპათია

პერსონალური ინფორმაციის დაცვა ასევე ითვალისწინებს იმ ადამიანების უსაფრთხოებას, რომლებთანაც კომუნიკაცია გვაქვს.

- ჩაეძიეთ შვილებს იმის თაობაზე, თუ როგორ იგრძნობენ თავს, ვინმემ რომ მათი ოჯახის შესახებ რაიმე პრივატული გაასაჯაროვოს ონლაინსივრცეში.
- აუხსენით მათ სხვა ადამიანების კონფიდენციალურობის პატივისცემის მნიშვნელობა და სხვებისგან ამ პატივისცემის მოლოდინის რაობა.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

როდესაც პლატფორმები, ან კომპანიები აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს, მომხმარებლის უფლებაა იცოდეს, რაში იყენებენ მის ასეთებს. ჩვენ ყველას გვაქვს პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება მას შემდეგ, რაც მათი გამოყენების დათქმული მიზეზი ამოწურულია.

- წაახალისეთ შვილები, მოგმართონ ნებისმიერ დროს, როდესაც საკუთარ კონფიდენციალურობაში ეჭვი შეეპარებათ.
- ანახეთ, როგორ წაშალონ მონაცემები ამა თუ იმ ონლაინპლატფორმაზე და როგორ მიაწვდინონდ ხმა მონაცემთა დაცვის უწყებას, წაუშლელობის შემთხვევაში.

ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ისწავლონ თავის ჯანსაღად წარმოჩენა ონლაინსივრცეში და იცოდნენ იმის შესახებ, თუ რომელი პერსონალური მონაცემი უნდა დაიცვან მოქმედებისას ან კომუნიკაციისას.

- ციფრული ანაბეჭდი მონაცემთა ის კვალია, რომელსაც ინტერნეტის გამოყენებისას ვტოვებთ. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგვყვება.
- განუმარტეთ ეს მოვლენა თქვენს შვილებს და შეახსენეთ მინიმალური ინფორმაციის გაზიარების მნიშვნელობა ონლაინსივრცეში.

ონლაინუფლებები

აქტიური მონაწილეობა

ბავშვების ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ უნდა მოხდეს მათი ასაკისა და მომწიფების შესაბამისად. ბავშვთა უფლებების დაცვისა და გამოყენების უნარი არ უგულებელყოფს მშობლების უფლებამოსილებას გამოიყენონ იგივე უფლებები მათი შვილების სახელით და უზრუნველყონ ამ პროცესის მხარდაჭერა.

- მოითათბირეთ ოჯახთან ერთად იდეები და მოლოდინები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.
- შეადგინეთ საოჯახო ქარტია, სადაც გაწერთ ოჯახის პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებსაც მიმართავთ როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ონლაინსივრცეში.

უფლებები და პასუხისმგებლობები

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ტექნოლოგიების მოყვარული და აქტიური მომხმარებელია, ისინი უნდა შთავაგონოთ, გამოხატონ აზრი საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. რას ფიქრობენ ისინი პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციებზე?

- შვილებთან ერთად გადახედეთ მათი საყვარელი აპლიკაციებისა და სოციალური ქსელების მომხმარებლის პირობებს.
- რამდენად ესმით ბავშვებს რას აწერენ ხელს და რის გაცემას (მაგალითად, ფოტოები, ტექსტი...) ადასტურებენ, როდესაც ეთანხმებიან პირობებს? ესმით კი, რომ ისინი, ამავდროულად, ხელს აწერენ ისეთ პასუხისმგებლობას, როგორიცაა ასაკობრივი შეზღუდვა?

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

ბავშვებმა უნდა ისწავლონ ონლაინ- და ოფლაინსერვისების მიერ პერსონალურ მონაცემთა მოთხოვნის სადარაჯოზე ყოფნა.

- დაუკონკრეტეთ შვილებს, რა ტიპის მონაცემების გასაჯაროვება არ ღირს.
- შეახსენეთ მათ, რომ შეგითანხმონ ნებისმიერი პერსონალური მონაცემის გასაჯაროვება იქამდე მაინც, სანამ არ მიეჩვევიან ავტონომიურობას.

ონლაინუფლებები

სამომხმარებლო ცნობიერება

ელექტრონული კომერციის საიტებზე ნავიგაციისას, მომხმარებლებს უნდა ესმოდეთ ვებგვერდის სანდოობის გადამოწმების გზები და პერსონალურ მონაცემთა მინიმუმის გაცემის მნიშვნელობა.

- ბავშვებს არ უნდა ჰქონდეთ ონლაინვაჭრობის უფლება ზრდასრულის ჩართულობის გარეშე.
- ასწავლეთ ბავშვებს, თავი აარიდონ ისეთ ვებგვერდებს, თამაშებს, ქუიზებს, ან სხვა პლატფორმებს, რომლებიც ითხოვენ ზედმეტ პერსონალურ ინფორმაციას, ან აიძულებენ მომხმარებელს ბმულზე დაკლიკებას, ან ფაილის ჩამოტვირთვას სერვისების გამოსაყენებლად.

კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უნარების განვითარება ბავშვებისათვის

ევროპის საბჭოს ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული სხვა გამოცემები

- Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- Easy steps to help your children become a Digital Citizen (2020)
- Keeping young citizens busy at home during the Corona crisis (2020)
- Parenting in the digital age – positive parenting strategies for different scenarios (2020)
- Digital Citizenship Education Handbook (2019)
- Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- Internet Literacy Handbook (2017)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ:
www.coe.int/education

ავტორები:
Janice Richardson
Veronica Samara

თარგმნილია:
მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნულმა ცენტრმა

განსაკუთრებული მადლობა
პასკალ სერიეს

PREMS 036023

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE